

ქ. ბორჯომი

06 ივლისი 2020 წელი

**კომისიას ესწრებოდნენ:**

1. დავით ზაალიშვილი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;
2. ჯუმბერ ბერიძე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის წევრი
3. გაიოზ დვალიშვილი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მონიტორინგისა და სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველობის განყოფილების ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
4. თეა კიკაძე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;
5. გიორგი ჩადუნელი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
6. მაია პაიჭაძე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
7. მაია მახარაშვილი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
8. ელისაბედ მჭედლიშვილი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, აპარატის წევრი;
9. ეკა ლონდარიძე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, აპარატის წევრი;
10. ეკატერინე სორდია - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, აპარატის წევრი

**დღის წესრიგი**

2020 წლის 03 ივლისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით ქ. ბორჯომში ბაზრის და ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (NAT200009437) ცვლილების შეტანა.

**მოისმინეს:** სატენდერო კომისიის აპარატმა სატენდერო კომისიას მიაწოდა ინფორმაცია ელექტრონული ტენდერის მსვლელობის შესახებ.

სატენდერო კომისიის წევრმა ქალბატონმა მაია მახარაშვილმა კომისიას მოახსენა ქ. ბორჯომში ბაზრის და ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე 2020 წლის 03 ივლისს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერთან NAT200009437 დაკავშირებით.

კერძოდ სატენდერო დოკუმენტაციის კითხვარის 1.5 პუნქტში დაშვებულია მექანიკური შეცდომა.

სატენდერო კომისიამ განიხილა სისტემაში განსათავსებელი სატენდერო დოკუმენტაციის ცვლილების პროექტი და გადაწყვიტა შევიდეს ცვლილება სატენდერო დოკუმენტაციის კითხვარის 1.5 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1.5 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმებისა და წესების დაცვით, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად.









2. ახალი კორონა ვირუსის (covid 19) გავრცელებასთან დაკავშირებით, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოების შესრულების პროცესში უზრუნველყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციების დაცვა.

3. სამუშაოს შესრულების ადგილია: ქ. ბორჯომი, მესხეთის და თორის ქუჩა.”

**კომისიამ დაადგინა:**

1. „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანების მე-19 მუხლის შესაბამისად, შევიდეს ცვლილება სატენდერო დოკუმენტაციაში.
2. სატენდერო კომისიის აპარატს დაევალოს დაზუსტებული სატენდერო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

**კომისიის წევრები:**

- |    |   |                |
|----|---|----------------|
| 1. |  | დ. ზაალიშვილი  |
| 2. |  | ჯ. ბერიძე      |
| 3. |  | გ. დვალიშვილი  |
| 4. |  | თ. კიკაძე      |
| 5. |  | გ. ჩადუნელი    |
| 6. |  | მ. მახარაშვილი |
| 7. |  | მ. პაიჭაძე     |
| 8. |  | ე. ლონდარიძე   |